სსიპ სახელმწიფო
შესყიდვების
სააგენტო

20 / აგვისტო / 2024 წ.

KA080151363215724

№ **2258**

განკარგულება

შპს „ერ ტე დეს“ შავ სიაში დარეგისტრირების შესახებ

შემსყიდველი ორგანიზაცია: საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს გამგებლობაში არსებული სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულება – საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტი;

ტენდერის ნომერი: NAT220006258;

შესყიდვის ობიექტი: 45200000 – მთლიანი ან ნაწილობრივი სამშენებლო სამუშაოები და სამოქალაქო მშენებლობის სამუშაოები;

მიმწოდებელი: შპს „ერ ტე დე“ (ს/ნ: 406102550);

წერილობითი შეტყობინების საფუძველი: სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების არაჯეროვანი შესრულება.

აღწერილობითი ნაწილი

1. ადმინისტრაციული წარმოების დაწყება

1.1. სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოში 2024 წლის 2 ივლისს წარმოდგენილ იქნა საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს გამგებლობაში არსებული სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულების – საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტის 2024 წლის 1 ივლისის № MRDI-RDN2-15/9388 წერილობითი შეტყობინება (რეგისტრაციის № 5445), რომლითაც სააგენტოს ეცნობა შპს „ერ ტე დეს“ (ს/ნ: 406102550) მიერ NAT220006258 ელექტრონული ტენდერის შედეგად დადებული 2022 წლის 30 მაისის №65-22 სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების არაჯეროვანი შესრულების თაობაზე.

1.2. სააგენტომ მიმწოდებელს, სახელმწიფო შესყიდვების ერთიან ელექტრონულ სისტემაში მის პროფილში მითითებული ელექტრონული ფოსტის მისამართის ertedeltd@gmail.com მეშვეობით, 2024 წლის 4 ივლისის № 2010 წერილით, აცნობა სააგენტოში შემსყიდველი ორგანიზაციის წერილობითი შეტყობინების წარმოდგენის თაობაზე და, სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2015 წლის 29 ოქტომბრის № 19 ბრძანებით დამტკიცებული „შავი სიის წარმოების წესისა და პირობების“ მე-5 მუხლის მე-5 პუნქტის შესაბამისად, სთხოვა ხსენებულ საქმეზე წერილობითი განმარტების წარმოდგენა.

1.3. მიმწოდებელმა 2024 წლის 12 ივლისს სააგენტოში წარმოადგინა 2024 წლის 12 ივლისის განმარტება (რეგისტრაციის №5773) მის მიერ NAT220006258 ელექტრონული ტენდერის შედეგად დადებული 2022 წლის 30

მაისის №65-22 სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების არაჯეროვანი შესრულების თაობაზე.

1.4. შემსყიდველმა ორგანიზაციამ 2024 წლის 19 აგვისტოს, სააგენტოს 2024 წლის 6 აგვისტოს № 2322 წერილის პასუხად, წარმოადგინა 2024 წლის 19 აგვისტოს №MRDI-RDN2-15/12523 დამატებითი ინფორმაცია (რეგისტრაციის №6973) მიმწოდებლის მიერ NAT220006258 ელექტრონული ტენდერის შედეგად დადებული 2022 წლის 30 მაისის №65-22 სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების არაჯეროვანი შესრულების თაობაზე.

2. შემსყიდველი ორგანიზაციის პოზიცია

2.1. შემსყიდველი ორგანიზაციის წერილობითი შეტყობინების თანახმად, მიმწოდებელმა არაჯეროვნად შეასრულა 2022 წლის 30 მაისის № 65-22 სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებები. ამასთან, გასულია ხელშეკრულების მოქმედების ვადა.

2.2. შემსყიდველი ორგანიზაციის მიერ წარმოდგენილი დამატებითი ინფორმაციის თანახმად, მიმწოდებელი არღვევდა ვალდებულებებს, არ ასრულებდა ხელშეკრულებით გათვალისწინებული სამუშაოების შესრულების გეგმა-გრაფიკით განსაზღვრულ ვალდებულებებს, უგულებელყოფდა შემსყიდველი ორგანიზაციისა და საზედამხედველო ორგანიზაციის გაფრთხილებებს, რის გამოც შემსყიდველმა ორგანიზაციამ აღარ გააგრძელა ხელშეკრულების მოქმედების ვადა. შემსყიდველი ორგანიზაცია აღნიშნავს, რომ ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ობიექტზე ბორჯომის მუნიციპალიტეტის მერიის დაკვეთით შესასრულებელი სამუშაოები მიმდინარეობდა მხოლოდ ერთ-კილომეტრიან მონაკვეთზე, რის გამოც ვერ ეწყობოდა ტროტუარები, ხოლო სარეაბილიტაციო მონაკვეთი მოიცავდა 8-კილომეტრიან მონაკვეთს. მიმწოდებელს ჰქონდა შესაძლებლობა ეწარმოებინა სამუშაოები სარეაბილიტაციო გზის სხვა ადგილებზე, შეექმნა სამუშაოების ფრონტი ერთდროულად რამდენიმე ლოკაციაზე, თუმცა, მიუხედავად ამისა, მიმწოდებელმა ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ვადაში არაჯეროვნად შეასრულა შესაბამისი ვალდებულებები. ასევე, ობიექტზე პროექტის მიხედვით მოსაწყობი იყო ხელოვნური ნაგებობები, მათ შორის ახალი სახიდე გადასასვლელი, რომელიც ხელშეკრულების მოქმედების პერიოდში მიმწოდებელმა ვერ დაასრულა, რამდენადაც არ ჰყავდა მობილიზებული საკმარისი რესურსები. ამდენად, მიმწოდებლისათვის ხელშეკრულების მოქმედების ვადის გაგრძელებით არ შეიცვლებოდა ობიექტზე არსებული ვითარება. სამუშაოების შესრულებისა და ხელშეკრულების მოქმედების ვადაში მიმწოდებელს არ გააჩნდა ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების ჯეროვნად შესრულების რესურსი და ნება.

3. მიმწოდებლის პოზიცია

მიმწოდებელი არ ეთანხმება მისი შავ სიაში დარეგისტრირების შესახებ შემსყიდველი ორგანიზაციის მოთხოვნას და აღნიშნავს, რომ სარჩელით მიმართა სასამართლოს შემსყიდველი ორგანიზაციის წინააღმდეგ. მიმწოდებლის განმარტებით, მისი შავ სიაში დარეგისტრირება მიმწოდებლისათვის გამოიწვევს მძიმე სამართლებრივ შედეგს, კერძოდ, კომპანიას მიადგება მნიშვნელოვანი მატერიალური ზიანი, იგი შეიძლება დადგეს გადახდისუუნარობის რისკის წინაშე, რამდენადაც მიმწოდებელი წარმოადგენს ინფრასტრუქტურული პროექტების მშენებელ კომპანიას, ხოლო ერთი წლის ვადით სახელმწიფო შესყიდვებში მონაწილეობის აკრძალვით, კომპანიას მიადგება გამოუსწორებელი მატერიალური ზიანი. ამასთან, შავ სიაში დარეგისტრირების ფაქტი უარყოფით ზემოქმედებას მოახდენს მათ საქმიან რეპუტაციაზე. ამასთან, მიმწოდებელი ადმინისტრაციული წარმოების ფარგლებში ითხოვს ზეპირი სხდომის გამართვას.

4. სააგენტოს მიერ დადგენილი გარემოებები

4.1. 2022 წლის 30 მაისს, NAT220006258 ელექტრონული ტენდერის საშუალებით, საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს გამგებლობაში არსებული სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულებას – საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტსა და შპს „ერ ტე დეს“ (ს/ნ: 406102550) შორის დაიდო № 65-22 სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულება, რომლის თანახმად, მიმწოდებელს 8 თვის ვადაში უნდა შეესრულებინა ხაშური-ახალციხე-ვალეს საავტომობილო გზის კმ13-კმ17 და კმ24-კმ25 მონაკვეთების სარეაბილიტაციო სამუშაოები. ხელშეკრულების ღირებულებად განსაზღვრა 9 699 999,80 ლარი, ხოლო მოქმედების ვადად – 2023 წლის 30 აპრილი.

4.2. მხარეთა შორის გაფორმებული შეთანხმებებით ცვლილებები განხორციელდა ხარჯთაღრიცხვაში, მიმწოდებელს 2023 წლის 31 აგვისტოს ჩათვლით განესაზღვრა დამატებითი ვადა, ხოლო ხელშეკრულების მოქმედების ვადად განისაზღვრა 2024 წლის 15 ივნისი.

4.3. მიმწოდებელმა შემსყიდველ ორგანიზაციას 2023 წლის 25 აგვისტოს №25/08-01 წერილით აცნობა, რომ სამშენებლო ობიექტის ტურისტულ ზონაში არსებობისა და გადატვირთული საავტომობილო მოძრაობის გამო, სამუშაოები ხორციელდებოდა ღამის საათებში, რის გამოც ფერხდებოდა სამუშაოები და მიმდინარეობდა ნელი ტემპით. ამავე წერილის მიხედვით, 2023 წლის ივლისისა და აგვისტოს თვეებში 25 დღის განმავლობაში ნალექიანი ამინდის არსებობამ შეაფერხა სამუშაოების წარმოება. ამავე წერილით, მიმწოდებელმა საზედამხედველო კომპანია „Egis International“-სა და შემსყიდველ ორგანიზაციას მიმართა სამუშაოების შესრულების ვადის 2023 წლის 31 ოქტომბრის ჩათვლით გაგრძელების თხოვნით.

4.4. საქმეში არსებული საზედამხედველო კომპანიის, „Egis International“-ის, 2023 წლის 29 აგვისტოს № 6823 წერილის მიხედვით, მიმწოდებლის მიერ მითითებული 25 დღიდან 20 დღე კონტრაქტორმა იმუშავა შეუფერხებლად, რის გამოც მიზანშეწონილად არ იქნა მიჩნეული სამუშაოების შესრულების ვადის გაგრძელება. ამავე წერილით, საზედამხედველო კომპანია „Egis International“-მა შემსყიდველ ორგანიზაციას მოუწოდა ხელშეკრულებით გათვალისწინებული ზომების გამოყენებისაკენ.

4.5. შემსყიდველი ორგანიზაციის 2023 წლის 27 სექტემბრის № MRDI-RDN2-15/15637 წერილით ირკვევა, რომ სამუშაოების შესრულების ვადის არაერთხელ გაგრძელებისა და სამუშაოების წარმოების ხელშემშლელი გარემოებების არარსებობის მიუხედავად, ხელშეკრულებით გათვალისწინებული სამუშაოები მიმდინარეობდა დაბალი ტემპით და არ იყო დასრულებული, რის გამოც მიმწოდებელს დაეკისრა პირგასამტეხლო. ამავე წერილით, შემსყიდველმა ორგანიზაციამ მიმწოდებელს მოუწოდა დროულად დაესრულებინა სამუშაოები, წინააღმდეგ შემთხვევაში გააფრთხილა ხელშეკრულებითა და კანონმდებლობით გათვალისწინებული ღონისძიებების შესახებ.

4.6. საქმეში არსებული საზედამხედველო კომპანიის, „Egis International“-ის, 2023 წლის 25 და 26 დეკემბრის №23 და №25 ტელეფონოგრამის შეტყობინებების მიხედვით, სარეაბილიტაციო მონაკვეთებზე გაჩენილი ღია ორმოების გამო გართულებული იყო საავტომობილო მოძრაობა, რაც საჭიროებდა შეკეთებას.

4.7. საქმეში არსებული საზედამხედველო კომპანიის, „Egis International“-ის, 2024 წლის 6 იანვრის № 3 ტელეფონოგრამის შეტყობინების მიხედვით, სარეაბილიტაციო მონაკვეთებზე გაჩენილი იყო ღია ორმოები, რაც საჭიროებდა შეკეთებას.

4.8. ბორჯომის მუნიციპალიტეტის მერიის 2024 წლის 10 იანვრის № 16-1624010154 წერილის მიხედვით, საავტომობილო გზის პკ 13-17 მონაკვეთზე მიმდინარეობდა სარეაბილიტაციო სამუშაოები, რაც იწვევდა მუნიციპალური ტრანსპორტის მოძრაობის შეფერხებას, კერძოდ, გადასასვლელის მოუწესრიგებლობის გამო, ცენტრალური მაგისტრალიდან დასახლებულ პუნქტამდე ტრანსპორტი ვერ გადაადგილდებოდა.

4.9. საქმეში არსებული ბორჯომის მუნიციპალიტეტის მერიის 2024 წლის 11 აპრილის №16-162410222 წერილის მიხედვით, საავტომობილო გზის მე-12 კმ.-დან 25 კმ.-ს ჩათვლით მონაკვეთში მილხიდები იყო გადავსებული წყლის მიერ ჩამოტანილი ინერტული მასალით, რაც ხელს უშლიდა ჩამონადენი წყლის მოძრაობას.

4.10. მიმწოდებელმა შემსყიდველ ორგანიზაციას 2024 წლის 23 მაისის № 23/05-02 წერილით აცნობა, რომ ობიექტზე სამუშაოების უმეტესი ნაწილი იყო დასრულებული, ხოლო საავტომობილო გზის დარჩენილ მონაკვეთებზე ინტენსიურად მიმდინარეობდა რეაბილიტაციის სამუშაოები, თუმცა ხელისშემშლელ გარემოებას წარმოადგენდა 2024 წლის მაისის თვეში არსებული ნალექი. ამავე წერილით, მიმწოდებელმა შემსყიდველ ორგანიზაციას მიმართა თხოვნით 2024 წლის 30 ივნისის ჩათვლით გაეგრძელებინა ხელშეკრულების მოქმედების ვადა.

4.11. მიმწოდებელმა შემსყიდველ ორგანიზაციას 2024 წლის 7 ივნისის № 07/06-01 წერილით აცნობა, რომ სოფელ ახალდაბასთან, საპროექტო დოკუმენტაციით გათვალისწინებული სამუშაოების წარმოების ადგილას, ბორჯომის მუნიციპალიტეტის მერიის მიერ დაწყებული იყო სამუშაოები, მათ შორის მოსახლეობისათვის ღობეების, არსებული კომუნიკაციებისა და კაბელების მდებარეობის შეცვლა და გრუნტში განთავსება, გარე განათების სისტემის მოწყობა, რაც აფერხებდა მიმწოდებლის მიერ ობიექტზე სამუშაოების წარმოებას. ამავე წერილით, მიმწოდებელმა შემსყიდველ ორგანიზაციას აცნობა, რომ არსებობდა ხელშეკრულებით გათვალისწინებული სამუშაოების სახელშეკრულებო ვადის ფარგლებში დაუსრულებლობის საფრთხე.

4.12. შემსყიდველი ორგანიზაციის 2024 წლის 10 ივნისის № MRDI-RDN2-04/8246 წერილით ირკვევა, რომ სამშენებლო ობიექტზე არ არსებობდა სამუშაოების წარმოების შემაფერხებელი გარემოებები. ამავე წერილით, შემსყიდველმა ორგანიზაციამ მიმწოდებელს მოუწოდა ხელშეკრულების მოქმედების ვადის გასვლამდე ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების სრულად და ჯეროვნად შესრულებისაკენ, წინააღმდეგ შემთხვევაში გააფრთხილა ხელშეკრულებით გათვალისწინებული სანქციების გამოყენების შესახებ.

4.13. მიმწოდებელმა შემსყიდველ ორგანიზაციას 2024 წლის 13 ივნისის № 13/06-03 წერილით აცნობა, რომ სოფელ ახალდაბასთან, საპროექტო დოკუმენტაციით გათვალისწინებული სამუშაოების წარმოების ადგილას, ბორჯომის მუნიციპალიტეტის მერიის მიერ დაწყებული იყო სამუშაოები, მათ შორის მოსახლეობისათვის ღობეების, არსებული კომუნიკაციებისა და კაბელების მდებარეობის შეცვლა და გრუნტში განთავსება, გარე განათების სისტემის მოწყობა, რაც აფერხებდა მიმწოდებლის მიერ ობიექტზე სამუშაოების წარმოებას. ამავე წერილის მიხედვით, 2024 წლის მაისისა და ივნისის თვეებში არსებული უამინდობა ხელს უშლიდა სამუშაოების მაღალი ტემპით წარმოებას. ამავე წერილით, მიმწოდებელმა მიმართა შემსყიდველ ორგანიზაციას და სთხოვა 2024 წლის 31 ივლისის ჩათვლით გაეგრძელებინა ხელშეკრულების მოქმედების ვადა.

4.14. საქმეში არსებული ბორჯომის მუნიციპალიტეტის მერიის 2024 წლის 13 ივნისის №16-162416556 წერილით შემსყიდველ ორგანიზაციას ეცნობა, რომ საავტომობილო გზის 12 კმ.-დან (დაბა ახალდაბა) 25 კმ.-მდე (ქ. ბორჯომის შესასვლელი) მონაკვეთი უხარისხოდ იყო შესრულებული, არ იყო დასრულებული სანიაღვრე არხების და მილხიდების მოწყობის სამუშაოები, ხოლო არსებული სანიაღვრე არხები და მილხიდები ამოვსებული იყო ნატანით. ამავე წერილის მიხედვით, წვიმის დროს საავტომობილო გზისა და მიმდებარე

ტერიტორიების დატბორვის თავიდან ასაცილებლად საჭირო იყო სანიაღვრე არხებისა და მილხიდების გაწმენდა.

4.15. შემსყიდველი ორგანიზაციის 2024 წლის 1 ივლისის № MRDI-RDN2-15/9344 წერილით ირკვევა, რომ სამუშაოების შესრულებისა და ხელშეკრულების მოქმედების ვადის არაერთხელ გაგრძელების მიუხედავად, მიმწოდებელმა ვერ უზრუნველყო განსაზღვრულ ვადაში დასრულებული სამუშაოების დამადასტურებელი დოკუმენტაციის წარდგენა. ამასთან, არაერთი გაფრთხილების მიუხედავად, სამუშაოები მიმდინარეობდა ნელი ტემპით ან საერთოდ არ მიმდინარეობდა, მიმწოდებელს არასაკმარისად ჰყავდა მობილიზებული საჭირო სამშენებლო მასალები, მუშა-პერსონალი და სამშენებლო ტექნიკა. ამავე წერილის მიხედვით, მიმწოდებელი საფრთხეს უქმნიდა საავტომობილო გზით მოსარგებლეთა უსაფრთხო გადაადგილებას, კერძოდ, საავტომობილო გზაზე ხშირად ჩნდებოდა ორმოები, გვერდულები შეუვსებელი იყო, კიუვეტების მოწყობის სამუშაოები კი – დასასრულებელი, რაც ხშირად ქმნიდა საავარიო სიტუაციებს. ამასთან, მიმწოდებელმა 2023 წლის აპრილის თვეში ვერ უზრუნველყო 250 000 ლარის ღირებულების სამუშაოების შესრულება. ამავე წერილის მიხედვით, სამშენებლო ობიექტზე არ არსებობდა სამუშაოების წარმოების შემაფერხებელი გარემოებები.

4.16. მხარეთა შორის გაფორმებული მიღება-ჩაბარების აქტებით ირკვევა, რომ მიმწოდებელმა შეასრულა 7 011 231 ლარის სამუშაო, რაც ხელშეკრულების ღირებულების 72%-ს შეადგენს.

სამოტივაციო ნაწილი

5. შემაჯამებელი დასკვნა

საქმეში არსებული მტკიცებულებებისა და გარემოებების შეფასებისა და ურთიერთშეჯერების საფუძველზე, სააგენტო მიიჩნევს, რომ შპს „ერ ტე დე“ უნდა დარეგისტრირდეს შავ სიაში.

6. გამოყენებული სამართლებრივი აქტები

სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2015 წლის 29 ოქტომბრის № 19 ბრძანებით დამტკიცებული „შავი სიის წარმოების წესი და პირობები“.

7. სამართლებრივი შეფასება

7.1. სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2015 წლის 29 ოქტომბრის № 19 ბრძანებით დამტკიცებული „შავი სიის წარმოების წესისა და პირობების“ მე-3 მუხლის მე-4 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის თანახმად, სახელმწიფო შესყიდვის ნებისმიერი საშუალებით განხორციელებისას, გარდა კონსოლიდირებული ტენდერისა, პრეტენდენტის/მიმწოდებლის შავ სიაში დარეგისტრირების საფუძველია, თუ მიმწოდებელმა ვერ შეასრულა ან არაჯეროვნად შეასრულა ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებები. იმავდროულად, აუცილებელია, რომ ხელშეკრულების მოქმედების ვადა იყოს გასული ან ხელშეკრულება ვადაზე ადრე იყოს შეწყვეტილი.

7.2. იმავე წესის მე-7 მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად, საქმეში არსებული გარემოების გამოკვლევის, შეფასებისა და ურთიერთშეჯერების შედეგად, სააგენტო ადგენს, არსებობს თუ არა პრეტენდენტის/ მიმწოდებლის შავ სიაში დარეგისტრირების საფუძველი. იმ შემთხვევაში, თუ არსებობს ამ მუხლის მე-4 პუნქტით გათვალისწინებული გარემოებები, სააგენტო იღებს გადაწყვეტილებას პრეტენდენტის/ მიმწოდებლის შავ სიაში დარეგისტრირებაზე უარის თქმის შესახებ, ხოლო იმ შემთხვევაში, თუ არსებობს პრეტენდენტის/მიმწოდებლის შავ სიაში დარეგისტრირების საფუძველი, სააგენტო, ამ მუხლის შესაბამისად, იღებს გადაწყვეტილებას პრეტენდენტის/მიმწოდებლის გაფრთხილების ან შავ სიაში დარეგისტრირების შესახებ.

7.3. განსახილველ შემთხვევაში, ირკვევა, რომ მიმწოდებელმა არაჯეროვნად შეასრულა 2022 წლის 30 მაისის № 65-22 სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებები. სააგენტო ყურადღებას ამახვილებს შემსყიდველი ორგანიზაციის მიერ წარმოდგენილ დამატებით ინფორმაციაზე, რომლის მიხედვითაც არ არსებობდა სამუშაოების დამაბრკოლებელი გარემოებები, რამდენადაც ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ობიექტზე ბორჯომის მუნიციპალიტეტის მერიის დაკვეთით შესასრულებელი სამუშაოები მიმდინარეობდა მხოლოდ ერთ-კილომეტრიან მონაკვეთზე, ხოლო სარეაბილიტაციო მონაკვეთი მოიცავდა 8-კილომეტრიან მონაკვეთს, შესაბამისად, მიმწოდებელს ჰქონდა შესაძლებლობა სამუშაოები ეწარმოებინა სარეაბილიტაციო გზის სხვა ადგილებზე. გარდა ამისა, სააგენტო ყურადღებას ამახვილებს შემსყიდველი ორგანიზაციის 2024 წლის 1 ივლისის № MRDI-RDN2-15/9344 წერილზე, რომლითაც ირკვევა, რომ სამუშაოების შესრულებისა და ხელშეკრულების მოქმედების ვადის არაერთხელ გაგრძელების მიუხედავად, მიმწოდებელმა ვერ უზრუნველყო სამუშაოების დასრულება. ამასთან, არაერთი გაფრთხილების მიუხედავად, სამუშაოები მიმდინარეობდა ნელი ტემპით, მიმწოდებელს არასაკმარისად ჰყავდა მობილიზებული საჭირო სამშენებლო მასალები, მუშა-პერსონალი და სამშენებლო ტექნიკა. საგულისხმოა ისიც, რომ ადმინისტრაციული წარმოების ფარგლებში მიმწოდებელს არ წარმოუდგენია სასამართლოს განჩინება, რომლითაც სააგენტოს შეეზღუდებოდა შემსყიდველი ორგანიზაციის წერილობით შეტყობინებაზე გადაწყვეტილების მიღების უფლება. რაც შეეხება ზეპირი მოსმენის გამართვას, სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2015 წლის 29 ოქტომბრის №19 ბრძანებით დამტკიცებული „შავი სიის წარმოების წესისა და პირობების“ მე-5 მუხლის მე-8 პუნქტის თანახმად, საქმის გარემოებებიდან გამომდინარე, სააგენტო უფლებამოსილია, მოუსმინოს

დაინტერესებულ მხარეებს. შესაბამისად, ზეპირი მოსმენის ჩატარება განეკუთვნება სააგენტოს უფლებამოსილებას და გამოიყენება საქმის გარემოებებიდან გამომდინარე. განსახილველ შემთხვევაში სააგენტომ მიზანშეწონილად არ მიიჩნია ზეპირი მოსმენის ჩატარება. ამდენად, აღნიშნული მსჯელობის გათვალისწინებით, სახეზე არ არის მიმწოდებლის პასუხისმგებლობის გამომრიცხავი გარემოებები და არსებობს მისი გაფრთხილების ან შავ სიაში დარეგისტრირების წინაპირობა.

7.4. სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2015 წლის 29 ოქტომბრის № 19 ბრძანებით დამტკიცებული „შავი სიის წარმოების წესისა და პირობების“ მე-7 მუხლის მე-3 პუნქტის შესაბამისად, გაფრთხილების ან შავ სიაში დარეგისტრირების შესახებ გადაწყვეტილების მიღებისას, სააგენტო, საქმისთვის მნიშვნელობის მქონე გარემოებებთან ერთად, დამატებით ითვალისწინებს დარღვევის სიმძიმეს, პრეტენდენტის/მიმწოდებლის მანამდე მიღებული გაფრთხილების ან/და შავ სიაში რეგისტრაციის ფაქტ(ებ)ს.

7.5. აღსანიშნავია, რომ შპს „ერ ტე დე“ (ს/ნ: 406102550) 2024 წლის 6 თებერვალსა და 9 აგვისტოს დარეგისტრირდა შავ სიაში NAT230001040 და NAT210012014 ელექტრონული ტენდერების საშუალებით დადებული 2023 წლის 27 თებერვლის № 01.01.01/30/84 და 2021 წლის 4 ნოემბრის № 105-21 სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულებებით ნაკისრი ვალდებულებების არაჯეროვანი შესრულების გამო.

7.6. სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2015 წლის 29 ოქტომბრის № 19 ბრძანებით დამტკიცებული „შავი სიის წარმოების წესისა და პირობების“ მე-7 მუხლის მე-6 პუნქტის თანახმად, შავ სიაში დარეგისტრირების შესახებ გადაწყვეტილება მიიღება იმ შემთხვევაში, თუ შემსყიდველი ორგანიზაციის მიერ წარდგენილი ინფორმაცია სრულად აკმაყოფილებს ამ წესის მე-3 და მე-4 მუხლებით განსაზღვრულ მოთხოვნებს და არ არის სახეზე შავ სიაში დარეგისტრირებაზე უარის თქმის ან გაფრთხილების საფუძველი.

7.7. სააგენტო მიიჩნევს, რომ შემსყიდველი ორგანიზაციის წერილობითი შეტყობინება აკმაყოფილებს ზემოხსენებული წესის მე-3 და მე-4 მუხლებით განსაზღვრულ მოთხოვნებს. ამასთან, სახეზეა მიმწოდებლის შავ სიაში დარეგისტრირების წინაპირობა და არ არსებობს მისი შავ სიაში დარეგისტრირებაზე უარის თქმის ან გაფრთხილების საფუძვლები, რადგან მიმწოდებელმა არაჯეროვნად შეასრულა სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებები. შესაბამისად, მოცემული დარღვევისა და მიმწოდებლის მანამდე არსებული შავ სიაში რეგისტრაციის ფაქტების გათვალისწინებით, შპს „ერ ტე დე“ უნდა დარეგისტრირდეს შავ სიაში.

სარეზოლუციო ნაწილი

სააგენტომ იხელმძღვანელა სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2015 წლის 29 ოქტომბრის №19 ბრძანებით დამტკიცებული „შავი სიის წარმოების წესისა და პირობების“ მე-7 მუხლის მე-6 პუნქტით და დაადგინა:

1. შპს „ერ ტე დე“ (ს/ნ: 406102550) 2024 წლის 21 აგვისტოს დარეგისტრირდეს შავ სიაში.

2. ამ განკარგულების აღსრულება დაევალოს სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს ინფორმაციული ტექნოლოგიების დეპარტამენტს.

3. ეს განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს მისი ოფიციალური გაცნობის დღიდან ერთი თვის ვადაში, თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი №64), კანონმდებლობით დადგენილი წესით.

თავმჯდომარე

ხელმოწერილია/
შტამპდასმულია
ელექტრონულად

ლევან რაზმაძე